

იუმორისტ. ჟურნალი



აშუაპირი ააღრუახი



№ 16



სული და ტვინი.

მამანი ქალაქისანი.

ბერძნებს ჰყოლიათ დედალი,
 (არა ქათამთა ჯიშისა,
 •რამედ ვინმე მხატვარი
 მექონე დიდის ნიქისა.

ეს ამბავი ძველის ძველია. დედალს ჰყავდა ერთი შვილი იკარო. ზებირ გადმოცემის სიტყვით, დედალმა, რამოდენიმე დანაშაული ჩაიდინა და შვილითურთ საპყრობილეში ჩასვეს. სატუსალოში მამამ გააკეთა სანთლის ფრთები, ერთი თავისთვის, ერთი იკარისათვის და ორივენი გაფრინდნენ. შვილი ძლიერ მალდა აფრინდა, მიუახლოვდა მზეს, სიმზურვალისაგან სანთლის ფრთები გაუდნა და ზღვაში ჩამოვარდა. მამა იკარისა, დედალი, გადარჩა.

იკარს დარჩა ხუთმეტრიოდ შვილი ჩვენს ქალაქ თფილისში, რომლებსაც „იკარელნი“ ანუ „იკარიელები“ ეწოდებოდათ და ერთი მეგობარი, რომლისა სახელი არს რობაქიძე.

თფილისელი ძენი „იკარისანი“ იკრიბებიან „პურ.ღვინოს“ ზედა სართულში და ბინდ ბუნდით მოკლე ოთახში, იკეთებენ სანთლის ფრთებსა და თავებს. მეგობარი იკარისა წელიწადში ერთხელ მათ ლექციას უკითხავს სულისა და ხორცის ანუ ორი ადამიანის შეერთების შესახებ.

მათი აზრით ადამიანს სული ან ცხვირში და ან ყურებში უნდა ჰქონდეს. როდესაც ადამიანი კვდება, სული გამოდის ცხვირიდან და მიბრძანდება ღმერთთან, სასუფეველში, ან ეშმაკთან ჯოჯოხეთში. ამის მიხედვით თფილელი „იკარიელნიც“ ეძლევიან სხვა და სხვა გვარ სულიერ სიტყობებ-განცხრომას.

მაგრამ ვინო გომართელმა
 ტვინში ნახა „სულის“ ბინა
 და დანებით აღჭურვილი
 „იკაროსებს“ მოველინა.
 ჯერ, პირველათ, რობაქიძეს
 გადაუხსნა თავის ქალა
 და ლამბაქზე ამოიღო
 მისი „სულიერი“ ძალა.
 მსწრაფლ მოღუნდა მეცნიერი
 ჩამოსცივდა სანთლის ფრთები
 და შესძახა საბრალო ხმით:
 „იკარგი ვანო, რას მიშვრები.“

დანარჩენი „იკარიელების“ მაგალითმა ყოველ-გვარ მეცნიერულ მოლოდინს გადააქარბა:

როცა მათაც აჩხადა
 გომართელმა თავის ქალა,
 იგი დიდო მეუფეო!
 ტვინის ნაცვლად დახვდა ჩალა.

ეშმაკი.

სკერმაკუდინსა და ეშმაკის მათრახს არსად არ ექნება ისეთი ფართე სარბიელი, როგორც ქალაქის საბჭოებში და მეტადრე ტფილისისაში. საკვირველია, თქვენმა მზემ! ამ „ეშმაკის მათრახის“ რედაქტორი დამრწის ათას დაბა-სოფლებში, თუ წვრილ ქალაქებში, დიქნევს თავის სუსხიან მათრახსა და ხან ვის გადაუქირებს ბექებზე; თუ ბექებ ქვეით და ხან ვის, ხოლო ერთხელაც ვერ შემოიხვდა ტფილისის საბჭოში, სადაც ასეთი მსხვილ-ბექიანი და უფრო სხვილ-თეძიანი ქალაქის მამები მოსვენებითა მქერ-მეტყველობენ. არა, ნეტა ტფილისში მაინც არ იბეჭდებოდეს მისი გაზეთი, კიდევ ჯანი გავარდნოდა ჩვენის საბჭოს უფლებებელყოფას, თორემ აქვე გვერდზე ტრიალებდეს ჩინებული მათრახი, აქვე გვერდში გვეულებოდეს ჩინებული სამათრახე ბექებ-თეძობი და სხვაგან კი გარბოდენ საკბილო მასალისათვის, ეგ ვერაფერი ანგარიშია, სწორე მოგახსენო პატივცემული მამანაგო ეშმაკი.

სხვა დროს კიდევ ჯანი გავარდეს, მაგრამ ამ თვის 8, 9 და 14 სწორეთ თვალი საბჭოს კრებაზედ დამრჩა—ან ესლა შემოიხვდაც ეშმაკი, ან ესლა თქვა, მაგრამ მოლოდინი არ გამიმართლდა. მერე რა შემთხვევა იყო-და!.. მამანი ქალაქისანი თათბირობდენ იმაზე, ადამიანთა ხელოსანი და აქვს უფლება მუშაობისა განსაზღვრულ დროს განმავლობაში, თუ იგი ეკუთვნის პირუტყვითა რომელსამე ჯგუფს და ამიტომ დროსა მის მუშაობისასა არ უნდა ედვას საზღვარიო. წარმოიდგინეთ, რომ მამათა შორის აღმოჩნდენ ისეთი სათნოიანი კაცები, რომელნიც პილატესავით იბანდენ ხელს და ურჩევდენ საბჭოს—ნუ გაერევი მაგ საკითხის გადაწყვეტაში, აბა რა ჩვენი საქმეა, განუსაზღვრავენ აღები ხელოსანს სამუშაო დღეს თუ არ განუსაზღვრავენ, ქირიცი მოუქმნიათ ჩვენთვისაო. ასეთ მამათა მეთაურად აღმოჩნდა ყოფილი ქალაქის თავი და ესლა ხმოსანი ქ. ა. ვერმიშვი, რომელიც ერთ დროს, მას ეამსა შინა, როდესაც ჰპერდა განმათავისუფლებელი ქარიშხალი, ჰო, იმ დროს იქაქებოდა ტრამვაის მომუშავეთა გულისპასუხის დაცვაში. დღეს კი, როდესაც რეაქციის ზუზუნმა ლამის ყურები გაგვიხვრიტა, ბ-ნი ვერმიშვი გულმეწუხებულია მუშათა თავ-გასულობით და დესტირის აღებისა და „ხაზეინების“ ბედს მუშების ხელში. ქირისუფლებათ ამოსდგომიან მას გვერდში სლიანელი დოღუხანოვები, ერვენელი შახბუღალოვი, ყახხელი მელიქ-ბეგლია-როვი და კიდევ სხვანი. მთელი სამი დღე აფრქვიეს ცხარე კრემლი „ხაზეინების“ უდროვო დაღუპვზე, მაგრამ მაინც ვერ მოუღბეს გული საბჭოს, გე-

დაიცვეს მათი ინტერესები. საბჭომ მაინც გადასწყვიტა, რომ სახელოსნოში მუშა არავინ უნდა ამუშაოს 8 საათის მეტი, თანაც იმ პირობით, რომ 4 საათის მუშაობის შემდეგ უთუოთ უნდა შეისვენოს ერთი საათი და მხოლოდ მაშინ შეუდგეს დანარჩენ 4 საათის დამთავრებასო.

აი, როგორ სავანზე იყო თათბირი და რა ღირსების სავანი ირკვეოდა ჩვენს საბჭოში. ნუ თუ აქ უადგილო იქნებოდა ან ეშმაკის ღონიერი მათრახი და ან მის მიერ ახლად გამოგონილი ბროუნ სეკარის სითხესებური სპერმაკუდინი! არა, ბატონო რედაქტორო, არ არის კარგი ხელის შეუხებლობა ქალაქის საბჭოსი, თორემ შენ იცი.

სტუმარი.



ბ ა თ უ მ შ ი

სტუდენტების ვიჩხირი.

სტუდენტთა „ვეჩერს“ დავესწარ, ბათუმს რომ გამართულიყო, ერთი თვის განმავლობაში რიხით რომ მზადებულყო.

კლუბის დარბაზში სტოლები ძეხვებით დაფარულიყო, სტუდენტთა ბრძენი თავები კრახხალში ჩასაფრულიყო.

სატლინკავათა გაწვდილი ფეხები მომართულიყო, სკენიდან ლექსი მასმინეს შინაარსითა კრულ იყო.

სტუდენტურ ყელში ბლომათა ნუნუა გადაკრულიყო, ზედმეტი ხტუნაობისგან ერთი წრეს გადასულიყო, იატაკზედა საცინლად ბრაგვანით გაშხლართული და შუბლი მისი მხურვალე სისიგინით დაფარულიყო.

დაბოლოს ურთერთ სავცემათ მუშტები ამართულიყო, ვთქვი: კუდო ერთო მათრახის, სად მყევხარ ეხლა, სულიყო...

„ბოლნიცა“.

საავადმყოფოს ვესტუმრე ქაობში ჩამალულიყო, ხმა ბაყაყების „სამაო“ სუსხიდან მიმალულიყო.

იქ ვნახე კაცი, სეკრეტრაო ოზურგეთს ბრძანებულიყო, შემდეგ კი ქიათურაში პრისთავათ დაბარგულიყო;

სახლითა, მიწა-ადგილით ქანქარით იგი სრულ-იყო, მარა ზედ-მეტზე აბა ვარს რომ აცხადებდა ვინ იყო?..

ახლა კი საავადმყოფოს „სმატრიტლათ“ გაქიმულიყო, შევძახე: ვანა შენს მეტი სხვა ვერვინ ნახეს, სულიყო?..

გავიგე: ესე დანიშენა პროტექციისგან ქმნილიყო, და გამგეობა ქალაქის ამ „საქმით“ კმაყოფილიყო.

გამგეობისგან ალბათ სხვა ვერავინ მონახულიყო... ვთქვი: კუდო ერთო მათრახის, უტხუნე მაგათ, სულიყო...

კენტი

სასიამოვნო ამბავი.

ამ ბოლო ხანებში ბაქოში შემდგარა ფრიად შესანიშნავი და მასთან „ინტერნაციონალური“ „დამსახირებელი“ ამხანაგობა. მასში შედიან უმთავრესად გურულ-მეგრულ-რაქველები. საზოგადოების მიზანია ზნეობრივი გარყვნა დიდ ფირმებში მომუშავე მუშებისა. აღნიშნული სიმპატიური დაწესებულების გაშვების სხვა და სხვა წამლების საშეღებით ასახირებენ მუშებს ხელოვნურათ და შემდეგ იწყებენ საჩივარს ფირმებთან. ერთ ხნობით ამხანაგობის საქმე ჩინებულათ მიდიოდა და ბევრმა ხელოვნურათ დასახირებულმა მიიღო რიგიანი ჯილდო, მაგრამ ვილაც ბოროტმა ენამ ეს ამბავი ადგილობრივ ს. დემოკ. ორგანიზაციას აცნობა და ამხანაგობის საქმეც უკულმა დატრიალდა. ამ მოულოდნელმა შემთხვევამ ძლიერ შეაშფოთა ზოგიერთი ცუდლულტი წევრები პატივცემულ „დამსახირებელი“ ამხანაგოდონ-ფერანდო.

რედაქციისაზან: სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ეს ახალი ნაყოფი რეაქციისა მარტო ბაქოს საკუთრებას არ შეადგენს. ჩვენს თფილის ქალაქშიაც ბლომათა გვყვანან ვერედ-წოდებული „სახიზარ-მეისტრები“, რომლებსაც ფრიად ფართე სამოქმედო ასპარეზი გამოუწახავთ.

როგორც ბაქოს „დასახიარებელი“ საზოგადოება, ისე თფილელი „სახიარ-მეისტრები“ ხელოვნურათ უზიანებენ კლიენტებს სხვა და სხვა საღორგანოებს და კრუ მოწმეთა საშვალებით ათას გვარსაჩივრებს იწყებენ. აღებული ფულის უმთავრესი ნაწილი „სახიარ-მეისტრებსა“ და „სახიარ მოწმეებს“ მიაქვთ, ხოლო უმცირესი თითონ დასახიარებულთ. თუ ღმერთმა ინება და ეს რეაქცია კარგახანს გაგრძელდა, ეს დარგი „მოღვაწეობისა“ ფართო გაშლის ფრთებს.

„ზ ა რ ს“.

ჩუ? ეს ნეტა სით გამოტყვრა?
 აწერია თავზე „ფარი“
 ნახირ-ნახირ იგახეთებს
 ერთგვარ ცხოველთ შხოფარი.
 წავიკითხოთ მეთაური
 უბოლო და უთაური:
 გასული წლის კრიტიკა
 სისულელით უცნაური.
 აბა შეხეთ „საჯავახელს“,
 აღუმართავს ბუშტის ფარი,
 ანგრევს კანონს ბუნებისას
 არ სურს ქვეყნათ პროლეტარი!!!
 იმ ნაცარქექიას იცნობთ?
 მებრძოლს ირქმევს ბაძავს გმირებს,
 სხვის თვალებში ბეწვს დაეძებს
 თვისაში ვერ ამჩნევს დვირეს.
 ბიქოს, აგერ „თომა პუსა“
 აქ რაღა სურს უგნურსა?
 ნუ თუ „ფარი“ ყველას იღებს
 ჰია ღუას, კოლო ბოზსა??
 სჩანს რო „ფედერალბეია“
 ეს საწყალი ფარელები,
 უსაქმური ყოყოჩები
 ეს უჯარო ღენერლები.
 მა რა გიკვირთ, ასეთია
 მათი საქმე და მიზანი
 დაე გვტყორცნონ კურკანტელით
 გატენილი ზარბაზანი.

შხანკოლა.

ი უ ბ ი ლ ე რ ი.

ლანჩხუთის საზოგადოებას გადაუწყვეტია იუბილეი გადაიხადონ იაშა ბოქაულის ორი წლის ენერგიული მოღვაწეობისათვის.

იუბილიარს მიაართმევენ შემდეგ საჩუქრებს: 1) ვაჭრები—აფერადებულ ნაჭრის საბანს, როგორც დროშას მოსაგონებლათ ბაზრის გამაჩრცვისა.

2) გლეხები—სარკის მენდალს ზედ წარწერით: „ფარნების შემქმნელებს გმირს“ (მეორე გვერდზე); „ახალაქი მახალაქი ჩვენი ჰირი ფათარაქი ფუი ძველ წელიწადს“.

3) დამწვარი ოჯახებიდან—თითო კალთა ნახშირს. მიქიაშვილის გრამაფონზე ჩმღერებს ერთ-ერთი საყვარელი შემდეგ ლექს იაფანანას ხმაზე:

მთელ წელს მკლავზე გაძინებდი ჩემი გული შენ მოვანდე,
 და რათ გიკვირს სხვაზე უფრო ალათიას რომ უყვარდე?

ვერიკა ხომ ქმარზედა გცვლის ელიტიაც სხვას წაჰყოზა,
 მე კი შენი სიყვარული სამარეში თან ჩაჰყოზა.

ვახ, თუ გზაში შემიწუხდე ანდა მოგხდეს მტრის ისარი,
 ვინ მოგწმინდოს სიმწრით ოფლი ალათია იქ არ არი.


ვინ დალია ჩვენი სისხლი აქედან ვინ წაგაშავა ყველა ჯაშუშ ხულოენები დააბნელა დააშავა.

მთელ წელს მკლავზე გაძინებდი შენი ქისა მთლათ მომანდე დღეს მშვიდობით, მაგრამ ვთხოვთ რომ სხვებზე უფრო მე გიყვარდე,

ვ-გზალზე ვაცილებსისა საერთოთ იმღერებენ სამგლოვიარო ხმაზე შემდეგ ლექსს:

მიქიაშვილი წაშავდა, იმისი პირი გაშავდა ადესელები მიუზღავს, რაც ჩვენი მისგან დაშავდა.

სიც-ხიც



ზღაპარი ან გეგონოტი.

„ვისაცა ასენ ყურნი სმნად, ისმინეთ!“

ბრუსესის ყავს ერთი ფიზიკლი მღვდელი პეტროვი, რომელსაც ჩვენებურ ავტოკეფალიტებსავეთ მარტო კუქი არ დაუსახავს თავის ღმერთად ის ცნობილია როგორც ჰუმანიური ადამიანი და მწერალი (ლაშაშვიძეს და ჩიჯავაძეს ბევრად სჯობნის) ერთხელ პეტროვმა ქ. ორლოვში წაიკითხა ლექცია

—ეს შეიტყო მოსკოველმა მოძღვარმა მოდავითა არსენიევმა და სინოდს „დანაშაუნი“ მიართვა: მღ. პეტროვმა ღმერთი უარყო. დანიშნა გამოძიება. — დაიბარეს მედანიხე მღვდელი არსენიევი, მან უტიფრათ განაცხადა, რომ ლექციას თვითონ არ დასწრებია, ხოლო რაც დანაშაუნი ყოველივე ეს მან გაიგო თავის დის ნადეჟდასაგან. შეეკითხნენ ნადეჟდას. ნადეჟდა თურმე პეტროვს არც კი იცნობს, მის ეს ამბავი გაუგია „სესტრიცა“ მარიამისგან, დაეკითხნენ „სესტრიცასაც“, აჰა ღმერთო ჩემო! . ლექციას არც მარიკო დასწრებია, მისთვის უამბინია ერთ ნაცნობ „ბარიშნას“ — აღმოაჩინეს „ბარიშნაც“, დიდარს უფალო სახელი შენი! ლექციასე არც ბარიშნა ყოფილა, მან სადღაც, ვიღაცასგან გაიგონა, რომ ერთი გემნახივი ქალი, რომელიც პეტროვის ლექციას დაესწრო ღმერთს უარს ყოფდა. მკითხველმა, იქნებ წავიკითხავს „როდნოე სლოვოში“ შეგიძლობის დროს „ბაბკა, ზა დედკო, დედკა ზა რეპუ“, აი ასეთ ხოხოლაზე ააშენა უწმიდესმა სინოდმა თავისი ბრალდება და პასუხის გებაში მისცა მღ. პეტროვი — თუკი ეს უწმიდესმა სინოდმა ჩაიდინა, რაღა გასაკვირი იქნება ჩვენებური ბიუროკრატიული მართლმსაჯულებისაგან ასეთ „განაგონის, განაგონზე“ ააშენოს თავისი ბრალდება და ციხე-კატორგაში გაგზავნოს უღანაშაულონი — ეს ამბავი მქედროთ არის დაკავშირებული ზვლინდელ ამბავთან. ზვალ, 21 იანვ. სამოსამართლო პალატა იწყებს განხილვას „გურიის რესპუბლიკის“ საქმისას. მოწმეთ გურიის ცნობილინი საზოგადო „მოღვაწენია“, ის „მოღვაწენი“, რომელთაც ოსურგეთის გადაწამებასთან ერთად გული გაუნათლდათ... მათ ეგონათ, ესლა კი დავიბრუნეთ „დრო წარსულიო“ და „ალავერდიკ“ კი შემოსძახეს. თავიანთი ბრალდება „განაგონზე“ ააშენეს და ვიხედაც ცოტა უკმაყოფილო კი ჩყვენ, სამართალში მისცეს. ენახოთ ბოლო რა იქნება, ჩვენ კი გავიმეორებთ:

„ვისც სსსნავი უკუდმრთად
 აღმა ხნას და დღამა ფარცხოს
 შე ის ამ ზურს ნუღარ მაჭმეუს
 რაც იმისგან გამოცხოს“.

მათე.


საბულისხმოთ.

(გუძღვნი კ. მ—ს)

გრძელ თეთრ წვერა,
 გაიძვრა
 ბათქმიდან „სოფლით ძვრება“,
 პედაგოგობს,
 დემაგოგობს
 და უფრო მეტს არა შვრება.
 თვით ბებერი,
 ტვინით შტერი,
 გარყვნილების წუმპეშია,
 ცოცხლათ მკვდარი,
 გამძღარი,
 იმას ვერ გრძნობს, სხვებს თუ უია.

ბეჩავ სოფლის,
 დამღვრელი ოფლის,
 მასწავლებლებს არაფრათ სთვლის;
 მათ ჯამაგირს,
 თქმათ რომ არ ღირს,
 თავის დროხეც კი არ აწვდის:
 ორ-სამი თვით,
 ეგ ნუ გიკვირთ!
 უგრო მფულოთ სტოგებს მშვიგრებს,
 და ამავე დროს
 ამ მცირე გროშ
 ვერ ამორებს თავის სკივრებს...
 უღარდელათ,
 დაუსჯელათ
 ის განაგრძობს ამ ხელობას,
 მას დროც სწყალობს
 და უგალობს
 „რეაქციას“, „თვითნებობას“!
 მაგრამ მალე,
 დღეს თუ ზვალე,
 სანეტარო წაში დაპკარავს
 და, თვის მონა
 რომ ეგონა, —
 „მის“ წინაღმდეგ ენას აღძრავს
 და ვი, „მას“!
 მსგავს ჭამა-სმას
 მომავალი ჩამწარებს...
 მაშ, დღეს ლხენა,
 ჯიბის ტენა
 ხან-მოკლეა, ნუ ახარებს!

ონისიმე.



გურული სცენა

ფატხას წერილი კალუსტინესთან.

ჩემო ყოვლის უსაყვარლესო, ძილსა და ღვიძილში მოსაგონარო, დავო კალუსტინე!
 პირველად ყოვლისა უთვალავ-უანგარიშოს გაცოცხლებ შენს ლამაზ ტუჩებში მოგილოცავ წარსულ დღესასწაულებს, ღმერთმა ბრავილს დაგასწროს შენი ძვირფასი ქმარშვილით და ყოველივე შენი მოსახედავით, სასო ღვთიშობელს ვსთხოვ ისეთ ყოფილიყო, მოყვარეს რომ უხაროდეს და მტერს თვალი ეფსებოდეს, ღმერთმა გაგიზარდოს შენი აღმასის კეკალივით ძვირფასი ქალიყვი და სამი უღელი კიდევ მოგცეს გასაზღელი. შენი ლამაზი შვი თვა-

ღების ქირი შემყაროს, ჩემს მაგიერ ჩამიკოცნე შენი თამრო და გოგი, იგინის გაზღოთ ღმერთმა შენი გული გაამხიარულოს. მომიკითხე დიდის პორიდებით შენი ბალოშის მოზიარე ვარდენი—ღმერთმა შეგებეროს ბზე და მთვარესავით. სხვაი ვიცი შენი ანგელოზი გუნების ანბავი, რომ ახლა ჩემს ანბავსაც იკითხავ, მე ღვინს და შენი წყალობით ქე მიღვია გაქვირებული სული; სული არ ამევიდა თვარა სხვაი აფერი სიავე არ მაკლია, მიკვირს რას უკავია, ჩემი ქმარი ჯერ კიდევ არ გუფუშვიან, ხუთას მანათს მოხოვენ სირიე სულ აყფებულის პირით, ხუთასი მანათი არა, ჩემ ბარაზე გახერტილი შაუჩიანი არაა, ძმარი ვადიგრო გულზე ჩემი ქმრის ძმას, ქე შუულდია მუხებრხოს, მარა ფული დხარჯოს კი არა ისე გამეისხა ძაღლის ხორცი, რომე ციხეშიც არ უნახავს. რაცხა პაწეი ფხანაკების იმედოც კი მქონდა, მარა ყველი ტყეშია გადაცვირული და თვითონ მისახედევა მე რაფერ მომხედოს. ღმერთი გაამწარებს ჩემს უსამართლოთ გამწარებულს. აწი შექალო რომ იკადე რაფერი სიბაღდე დამემართა, მაღლობა ღმერთი ჩემ ქმარს არ შეუტყვი, თვარა ცოცხლობითი დამმარხვიდა. ენა ვატრაშალებულმა კახა სონიამ მირჩია ვერიჩკას შეხვეწე პაწე რაცხა ფეშქაში მულტანე და იგი პრისთავს ეტყვის და ქმარს დაგისნისო, ხომ იცი ბენა რაც გიამება იმას ადვილად დეიჯერებ, გამუგაცხვე იმისთანაი ხაქაპური, იმისთანაი ხაქაპური, რომ გურიელის ბუშს კი არა, დასტურ გურიელის კნინის ეადრებოდა, ცხრაი ჩელი ყველი უქენი, ერთი კი დედლი შევწვი, ერთი დიდი ბოთლი ღვინო იგორ გვარჯალაძეს გამუართვი, ნამყენი ზემოური ვენახი აქ იმას, რაცხა თავე სხვაი ჩეჩიტები, ჩავალაგე, რალა ბევრი თავე შეგაწყინო ოკობოდურით, ერთი დიდი სახეავო კალათი გაავფსე, გამუღდე ჩემს უფროს ბიქს ფხარზე, წვეიყვანე სხვაი ბაღეტიც, იქნება თავე შევაცოდვო შეეთქი, ენა-პირი ვერ გამოსთქვამს რაფერ მე იმას შევდემერთე... ძრახას მარლი მუატყუებს და კაცს ენაო რომა ნათქვამი გაატატაშა ენა, შიახმა დღესტორამდი, შენ რას ირჯებოდი, ან რას იხარჯებოდიო, მე თუ კი რამე შემიძლია ბალანის პირით რომ შემოგთვალა რავე დაგზარდებოდიო, დუეუკოცნე ხელუბი, მიწა ვნახე დაპირლი ღმერთო შენით მის ხელუბზე და წამეყელი ფართქალეებული. რა შუაშია, მოგეხმარება კი კი არა, ნაფთს ვადვირებს ცეხლზე. აი ჩემი მიტანილი ძღვენი უნელათ წიეკალა, მიიტანა თურმე პრისთავისას, გუფმელავნებელი ხომ აფერი დარჩება, გეიძრეს თურმე ტანზე ორივემ, ჩაწვენ ვანაში და ისე მიირთვენ ჩემი გამომცხვარი ხაქაპური; ჩემდა რავე უთქვამს ერთი ღრინი მეც მარა მასაც, ნუ გეშინია არც მას გასთენება ტკილიათ კაი დღეი, მისმა საყვარელიმა პრისთავმა შეკრა ბარგი და ქე გეიპარა, ქე დარჩა ჩვენი პატიოსანი ვერიჩკაი შარაზე გამოქენებული, ვერიჩკაი, ვერიჩკაი და შენგან გამოღვენებას არ მიველი, ბევრმა ქალებმა დეიბურძღლეს თვალბეი პრისთავის გაპარვა რომ შეიტყვის... სხვაი არ მოგწერო, მოსაწერი ბევრი მაქ, შენთან მუსიაფით რა გამაძლებს, მარა ახლა მშვი-

დობით შენი ქირიმე, ძუძუის ნაწყვეტმა ბალანამ გვიღვიდა და წერას კი არა კვერის ჩაგდებას აღარ დამანებებს. კიდევ გაკოცებ მილიონი გზობა ჩემო კალუსტანე, იმედია ერთ-ორ განაწერს შენც არ დამამადლი და ჩემს დახშულ გულს გაახარებ. შენი ნახვის მონატრული ფატი ასკურავა.

პიტნა.

წერილები ეშმაკისად .

ჭიათურიდან. შეილო ეშმაკო გილოცავ ახალ წელიწადს და ვესტურვებ შენი მათრახის კუდს გამარჯვებას. აქ ახალი არაფერია. ერთი საათით ბათუმს ჩავფრინდი და შემდეგი ამბავი მითხრეს:

ხომ გახსოვს აქ, ჭიათურაში რომ გურული ბოქაული იყო? ის საცოდავი სამსახურიდან გადამღვარა და ამ ჟამათ თურმე არავითარი სახსარი არ აქვს ცხოვრებისა, მხოლოდ 600 მანათს იღებს წელიწადში და ეს ფული რას უშველის მას! იგი ხომ თვეში იღებდა ამდენ ფულს და დიდი პატივის ნაჩევიია. მაგრამ ხომ დავიგონია შეილო ანდაზა: „კარგი ჰქენი—ქვას ვაგვიგონა, გაიარე—წინ დავხედებოა“, ამასაც ასე მოსვლია. ბათუმის ქალაქის ერთ მაშათავანს ყურში ჩასწვეთებია ამ კაცის გაქვირება; შესულა მის მდგომარეობაში და გვარიანი ადგილი გაუჩენია ამ პატიოსანი ნაპრისტავალისათვის. ხომ იცი ბათუმის ქალაქის სასაფლაო? (ოხ, უკაცრავათ, საავათმყოფო) თუმცა ამ სასაფ. ფული, ენა მიყვის... ხო, თუმცა ამ საავათმყოფოს ამ ჟამად ყავს ზედამხედველი, რომელიც ჯერ-ჯერობით არც კვდება, არც ავთ ხდება და არც თავის ნებით აპირებს ადგილის თავის დანებებას, მაგრამ ზემოხსენებულ მამას გადაუწყვეტია ეს ადგილი უთუთო ბ. ნაპრისთავალს უფეშქაშოს, იმ მოსაზრებით, რომ ახალი სმატრიტელი იდღეს რეფორმებს მოახდენს ბოლნიცაშიო. ავადმყოფები ძალიან თავებდა იქცევიან თურმე. აქ კარგ მოვლასა და ბევრ საქმელ სასმელს თხოულობენ. მომავალი სმატრიტელი კი ამავებს არ გააბედვინებს იმათ, ზომიერათ მისცემს ყველაფერს, რაც მათთვის საჭიროა, ხოლო რაც სტერეჟენიოდან დარჩება იმას... იმას... იმას მკორე ჯამაგირის შესავსებათ იხმარს, რადგან 150 მანეთი (აქ ასი მანეთია ფულად ჯამაგირი) საქმელ-სასმელი, სახლი, შეშა, წყალი არ ყოფია ამ პატივის დაჩეველ კაცს. ხომ ვაგიგონია, შეილო, ანდაზა: „უჩვეველსა ნუ მიაჩევე, დაჩეველსა ნუ მოაკლებოა“.

შენი მოყვარული მამა **ზოსიმე**.

ს. შინდისიდან. ეშმაკო ხალხში ხმა არის დეფარდლიო: ჩვენს მამასახლისს ხაზინიდან ეძლევა სასამართლოსთვის ხარჯებიო და ავიხსენი გენაცვალე, ეს ხარჯები რიდასთვის გააწერა ამ მამაცხოვნებულმა. წარმოიდგინეთ ბ.ნო ეშმაკო, გლუხებს ვალდებულად ხდის მუქათათ უზიდონ: შეშა, ქერი, თივა, ბზე და სხვა ამგვარები. თუ ეს მართლა ასეა, მაშინ რალა გვეთქმის, ზაკონიც კანონიერი იქნება

და თუ საქმე იალლიშთ არის, დააღვიწიე მას ი რალაც „კუდინი“ რო მოგიგონია.

პატარა ეშმაკი.

ჭიათურიდან. ბ-ნო ეშმაკო! შენ როგორც გატყობთ უფრო ხშირად ჰაერ-ჰაერ დაფრინავ და დედამიწაზე რა ხდება, არ კითხულობ. ახლა ერთი სათხოვარი გვაქვს შენთან. ვინ იცის ქნება ჩვენ არ დაგვიჯერო და მოდი შენ თითონ შემოიარე ჭიათურის საავთმყოფოში. დილის ცხრა საათზე რომ მოხვალ, ნაშვადღევს ორ საათამდე (ეს უკანასკნელია!) დერეფანში დაგვირდება ცდა. დერეფანში რასაკვირველია ვერც დაჯდები და კიდევ გაიყინები. შენ იტყვი: „ეს თფილისის რკინის-გზის საავთმყოფოშია ც ვერეაო“ მაგრამ რა შედარება!

სამი-ოთხი საათის ცდის შემდეგ მოგხვდა, ვთქვით, განგებამ და დაიწყეს მიღება. ჯერ გამოიძიებენ შენს ფინაობას ადამ და ევიდან მოწყებულნი. თუ უმუშავარი აღმოჩნდი, ან ბედმა მალაროში მუშაობა არ გარგუნა, წამალზე ტყვილათ არ მიგასუნებებენ. მართალია დღეს მალაროში მუშაობა არ არის და საავთმყოფოში კი მან კაცი წევს, მაგრამ ეს მძა ბიკობითა და ნათლი-მამობით ხდება. შენ თითონ შეამოწმე ბ-ნო ეშმაკო და თუ მართალი გამოდგეს, რაღას გვერჩი, უცხუნე ერთი მათრახის კუდი იმ პირებს, ვისაც უფრო შეეფერება ამ შემთხვევაში.

უმუშევრების მონდობილობით მუშა სარდიონ კაკაბაძე.

სიმონეთიდან. ძვირფასო ძმაო ეშმაკო! ათასჯერ განვიზრახეთ შენი მოწყვეა, მაგრამ მუდამ გვემათრებოდა შეწუხება და ვითმენდით. ახლა აღვისო მოთმინებისა ფილა უნდა გვიწველო რამე. სიმონეთში მოსვლა ორი გზით შეგიძლია, თუ აჯამეთის სადგურზე ჩამოხტე მაშინ მღვდელ ალექსი ყიფშიძეს ნუ დასტოვებ უნახავს. დრამის ფულები დიდის ამბით აბოკა, მაგრამ სავანშმო საგზალი მაინც მიიყოლიე. ეს იმიტომ, რომ შობას მრევლი გაეფიცა და ერთი კოკორი ახარვის მიუტანია.

თუ სვირიდან წამოხვევ, მაშინ მოძღვარ მეთოდესთან შეიარე. მართალია ამასაც გაფიცული ყავდა მრევლი საშობაოთ; მაგრამ სამაგიეროთ დრამის ფული ამანაც ერთი ზარი და ზემით აკრიბა. სასაცილო სანახავი იყო მოძღვარი მეთოდე, როცა ლაფშა ცხენი წაყვანა და ბაყ-ბაყ მღვერი ურემი ცარიელი წაილა ეკლესიიდან.

„ერთი კირი მარგებელიაო“, იტყვიან და დრამა ფულის აკრფამ სტრანეიკებს სწორეთ კატის ყველიერი გაუთენა. რაც ქათმები იყო სანახევროთ მაინც გააწყალეს.

ერთი თუ ძმა ხარ აზიარე ის მოძღვრები შენ მიერ მოგონილი სპერმაკუდინით და იხსენ სოფელი სიმონეთი განსაცდელისაგან.

სკინჩა.

ქობულეთიდან.

ძმაო ქუმე! წერილს გწერ შენი რეჟებ, მეგობარი! გაიხსენე ქობულეთი, სამთხისის დასაღარი.

ერთი მათთვისც მოიცადე, ჩამოფრინდი უკუშველათ, თან მათრახც წამოიდე ზურგთა შათას ასწველად.

ჩამოფრინდი, მაგრამ ფრთხილად: ვოკზალში „სააგენტო განყოფილებამ“ თვალი არ შეგასწროს, ხოლო ვოკზალსა და „ქალაქს“ შორის წუმბეში არ ჩახიჩრო. თუ გადარჩი „გარაკის“ პაწა ბუხარს მიადგები. აქ მოიძარჯვე მათრახი და ვინც შეგხვდეს მარჯვედ თუ მარცხნივ უცხუნე და უცხუნე. არ დაინდო არც ვაჭირი, არც ნოქრები, თან ჰკითხე, რა დაუშავეს წიგნებმა და ჟურნალ-გაზეთებმა, რომ ასე სასტიკად სდენიან მათ. ამ მხრივ „ქრისტიან ვაჭრებს“, მეტი აკუთვნე, რადგან ისინი მეტი „განჯექილი“ არიან, და „ვისაც მეტი ებოძების, მას მეტიც მიუთხოვები“ განკითხვის დროს.

ამას რომ მოჩრტე, აქ-უბო „სულუმ-საყვემბის“ კარები შეაღე და დაურიდებლათ მისთავავე ყველას რომ, იქნებ აწ მაინც დაერიდონ იქ ფულზე ნარდ-კამათელებს და ქურდ-ბაცა-ბაცა-ტარცე-აღლეჯა-მგელელობის გეგმათა შემუშავებას. ამ „სასახელო საქმეებში“ კი მუშუღმანებს მეტი ერგებათ. შემდეგ, სასოფლო-სამეზარეულოს მწერალი პარმენ ინახულე, ერთი თვალი გადაუბრიალე და უთხარი, „ხელის ქუქყი“ ნუ უყვარს, „წმინდანებს“ ნუ ემბრობა და ნამეტნავად გადაწყვეტილი საქმე „უტუქყოთ“ სისრულეში მოიყვანოს.

აქედან, თუმცა ძლიერ საშოშია, მაგრამ „კონტრიმის უჩასტკის უპრადენიაში“ შეხვალ. ჯერ „დელაპროიზვოდიტელს“ ნახე. ამას თვალების სასტიკი დაბრიალება აკმარე ჯერ-ჯერობით; რისთვის, — თვითონაც კარგათ მიხვდება. ზემო სართულში მომხადებული აღი. აქ „მოლად დიდი ვინმე“, ამა ქვეყნის ბატონ პატრონი ინახულე, მაგრამ ნახვის უმალ წარბში შეხვდ, რომ გაიგო, ეს ვინ არი:

ეს ის არის, ვინც „პაშენს“ სისხრის, როცა „პაშენს“ ვერა წვდება; ან „პაშენი“ რას ხელთ უწყობს ქანქარა გრფავს, „სანკარებს“.

ეს ის არის, ვის ბლიკვებში არაფინ ჭეკვს ტოლი, ბანი; და „კუდინი“ ეწვევითაც მისთვოს არ არს დასაზარი.

ამას რომ თავი დაახლო, იქ, მისს პირდაპირ, ფოსტის ნაწალნიკი ინახულე. ერთი ოკდაბთეთი უთავავე შენი მათრახის კუდი და დაარიგე, რომ ამას იქით თინც იქონიოს ღია ფოსტის კანტორა კანონისამებრ.

აქედან საავადმყოფოშიც შედი, ბამოიხმე ფერშალი, ერთი ოციოდე უცხუნე და დაარიგე, რომ „ვიზიტის“ დროს საწყალ ხალხთან ვაჭრობას ნუ გამართავს. აქედან აფთიქ-შიც შედი და უმაწყალათ უცხუნე მეაფთიქებს. სე უმოწყალათ, როგორც ის უმაწყალათ „იმასობა“ მელკაშენტე-ბის მყიდველებს.


ამათ გარდა კიდევ ბევრი მყავს აქ შენთან „სარეკომენდაციო“, მაგრამ თუ ყველას წამლობა მოინდომე, მაშინ აქ, ქობულეთში, უნდა დასახლდე და ამისთვის კი დღეს არ გცა-

ლია, და ვერც შე გირჩევ, ყველა აქაურები ერთად „მოი-
მასქნა“, ამიტომ დანარჩენები შემდეგში იყოლიე სახეში. ეს
კი იმას არ ნიშნავს, დანარჩენები ვითომ ყურადღების ღირ-
სნი არ იყვნენ... ავიღოთ, თუ გინდა მძარცველ ბრბოთა მე-
თაურები, „მა-ბიჭები“, მათი ზელოს შემწყობ-დამხმარენი-
რით არ დაუშვასურნიათ ამით არა თუ მათრახის კული, არა-
მედ „სპერმაკულინიტი“!... მაგრამ მე ჯერ კარგათ ვერ ზამო-
ვიანგარიშე იმათთვის საქმიო საშუალებათა „დოზა“; გამო-
ვიანგარიშებ და შემდეგ მოგწერ; ეხლა კი, სანამ მწვერდობით,
შენი მარადის რეგებ-ეფენდი დრობილი.

სენაძიდან.

რაც მართალია, — კარგია, კიდევაც მოსწონია,
მაგრამ გემდურით; კუჭკო, და დაგვიჯერებთ მგონია.
შენი კულ-მწარე მათრახი თუმცადა ქების ღირსია
მაგრამ სენაკში ჯერ არვის უნდა გემო მისია.
ჩვენშიც ბლდომთ შეგუებება წურბელა, სისხლის მსმელია,
ისკაროტი იუდა, მაცდური გამტკუელია,
ახლა კი ღარ იუთო, შევქეი შეგუზადზედა
და გამოფრინდი აქეთკენ სასურველი ხარ ძალზედა.
ზირველად გოსტას ეწვიე, ღარ დაინდი ტალი
ბეერი გჭირია მის ზურგზე მათრახის კულთა ტრალი.
ეგ ზირველაა ეველასე და უმეტესად ცნობილი,
მაგრამ შენ უკეთ არ იცი რა შვილია და რა ხილი;
შემდეგ ეწვიე გეჭკოელს, შეუხიბინე ზურგზედა
ეს დიმიტრია ემპაეებს სულს რთ მიჭვიდის ფულზედა.
მამასხლდისად ნამუთოვი, „გამოსარხნით“ გამსჯდარ
ხდისის შრომით ნასუქი მოაერობის მონა გამსჯდარ.
შერმე ზეტრესთან გადდი, მაგრამ სიფრთხილე გჭირია
ჩემი და ფარისეუელი, აქ მაცნისთან ძვირია.
არ დაგვიწყდე სსლამი, ესენ მაკათი ცალია
და სამ გზის ზურგზე არ გაჭრა არ არის სამართალია.
შემდეგ იხილე ჩინუა, თითქმის კოწიას ტალია
შპირ-მწვეურვალე გლეხები მუდამ სასრავათ უოლია.
თუმცა „ქსიფერებს“ ეტრთელა, რა კი დრო გამოინცვალა
ჩვენსა ბატონსა გიორგამ შამინეუ ფერა იცვალა.
შემდეგ მონახე ლეონტი და იფარვიმე მასზედა
ნურას დაგიშდის ამ წინეთ ტუვია რომ მოხვდა მკლავზედა
გახსოვდე: გულ-მოსულია და უტრათ გაჯერებული
მართლდსა სადხზე ვაერს იერის სხვისაგან გამჭარებული
აქ შეწვევტი, წერას და გილდი, ვიხსლო არ დაგვიანო
უბრადო მიზეხებისთვის საქმე არ დაიზიანო.

შუშა ნოსირელი.



მისტიკური.

დაუკარ, ჩემო ქამანჩავ!
ამღერდი, ჩემო სტივიროვი!
რაც კი ამდენხანს ვილხინე,
აწ უნდა დავიტოროო!
ჰეი, დროებავ, დროებავ,
მეუფევე მთათ და ბარათა!
შენ თუ კი მწყალობ, — მეფობაც
გროშით არ მინდა, ფარათა.
მაგრამ რას ვამბობ? ორ წელზე
ავერ მეტია თითქმისა,
რაც „სამქე“ სულ წინ იყვდა:
საყვედურიც არ მეტქმისა.
მეფე ვიყავი, მაშ არა?
ფულით მე არა მშობდა:
თვეში ათასი მანათი
კოტისგან შემომდიოდა,
ვიჭერდი, ბნელეთს ვამწყვედვდი,
ვიხედავ გული მტკიოდა,
ქვეყანა, ერი და ბერი
შემომტირ-შემომჩიოდა...
მხოლოდ ამ წლიდან რაღაც
ვერ ვატყობ საქმეს ხერისა.
ვაი, თუ შემოგვეყარო
უდროვოთ თავის სერისა!..

„მატარაჩმა“ სახალწლოში
 საძაგლათ მომიხსენა:
 თითქო რაც ვიყო, მე ვიყო
 ქვეყნის ქირი და სენია!

უფროსმა ამითვალწუნა
 და მიმზერს რალაც ცერათა,
 ხელქვეითიცი კი ახირდა;
 არ მაგდებს არაფერათა;
 სარკეშიც ჩვეულგბრივ რიხს
 რალაც ვერ ვამჩნევ სახესა...
 ღმერთმა დასწყევლოს! ნეტავი,
 ხომ არეინ მიგებს მახესა?!

რალაც „სიხუმეც“ გამეფდა,
 ამას არ ვიყავ ჩვეული,
 მიყვარდა მე ზღვის სტიქია
 აჯანყებული, რეული.
 მუნით რომ ამომიზიდავს
 „თევზი“ მსუქანი, რჩეული,
 ღღეს კი ბადესაც ვერა ვშლი“...
 „წყალი არ არის მკერეული“...
 გულმაც კი იგრძნო რალაცა,
 რომ ცუდი მოსაფლია,
 ყვავიცი ხშირ-ხშირათ დამჩხავის
 და მიკანკალებს თვლია...
 ეჰ, წახდა ჩემი დროება
 და აღარც შემობრუნდება!..
 ასეა: ახლის მოსვლაზე
 ძველი თანდათან ხუნდება!..
 ჰეი, დროებავე, დროებავე,
 შეუფევე მთა და ბარისა!
 შენს წინ თვით მეფის ფასიცი კი
 ნაკლეა ერთი ფარისა!

დაუკარ, ჩემო ქამანჩა!
 ამღერდი, ჩემო სტივროვო!
 რაც აქამომდე ვილხინე,
 აწ უნდა დავიტიროვო!..

ნ. ზომლეთელი.

მძსპრომბი.


ქუთაისელ „ესფერებსა“
 ასდგომიით თაქში ქარი,
 თუ ამბავი ეს არ გჯერათ
 წაიკითხეთ მათი „ფარი“

ქუთათურელ „ესფერებსა“
 ხნოვობისაც სკირს „კატარი“
 და თუ არ გწამთ ჩემი სიტყვა
 წაიკითხეთ მათი „ფარი“

უნდათ, ცოცხლათ გაასაღონ
 თავი თვისი უკვე მკედარი,
 და ამ ლაყუ რეკლამისტის
 დაიარსეს თურმე „ფარი“

თავსა თითონ გაიშოლტავს
 კაცი ქვეყას ვადამხტარი
 და ქუთათურ „ბურჟუიკებს“
 ვერ დაიხსნის მათი „ფარი“.

რიუა.



ორი ეშმაკი.

მკარე ეშმაკა. სიმღერის გუნებაზე მოვედი,
 მოდი ერთი თუ ძმა ხარ დავალიდნოთ რამე.

ზარგვლა ეშმაკა. ჩოხ იახში! დავსახოთ, მა-
 გრამ რომელი გირჩევენია?

მ. ეშმაკა. რალა რომელი, ისევ ჩვენი „ალი-
 ფაშა“ აჯობებს.

ზ. ეშმაკა. ხოროშოლო! მაგრამ შენ დაიწყე
 და მე ბანს გოდრით დავგვამ.

მ. ეშმაკა. კარგი. მაშ სმენა იყოს.

„თათარი და რუსი ჩხუბობს

იგი არის ორივე ეში;

ალი ფაშამ გვილაღალტა,

ა ვიყვანა კვირიკეთში,

იმან ფულეგი აილო

ჩვენ ჩავყვარა რუსის ხელში“

ზ. ეშმაკა. მოიცა, მოიცა, სტოშ! თათარი
 და რუსი კი არა ჩხუბობს, სპარსელი და რუსი
 ჩხუბობს.

მ. ეშმაკა. ე-ე-ე, მამა ცხონებულლო! ძლივ-
 ძლივობით გავიშარეთ ხმა და სულ ჩამიშალდე. ახლა
 სიმღერას მადაც დამეკარგა

ზ. ეშმაკა. თუ ძმახარ მითხარი, ფესკა გირ-
 ჩეენია თუ კარტუზი?


- მ. კემაკაი. რის ფესკა და რის კარტუზი
რის პრასა, რის ნიახური
სულ ერთია ვისი მოგხედეს
მუჯღლეგუნი და პანდური.
- პ. კემაკაი. Да-а-а! почти все равно.

ს ა ა მ დ რ ო ო თ.

აჰა ელია მელია,
სტვირს კიდევ ვსტაცე ხელია,
თუმცა ღა მომიახლოვდა
სიბერე საძულველია,
მარა გავბერე ქამანჩა
ეს ჩემი გუდა ძველია,—
შინ და ლექსებით შევამკო
იროდი უზრუნველია,
რიგოლეტო და რიშაბა—
ენა ბილწი და მელია,
მონადირე და ჩახმაზი,
პროკოპი ასკანელია,
გუნთას აწონ-გახომეა
არც თუ ამ რიგათ ძნელია.
მითხარით, რაზე ქაქანობთ,
ჩვენი მწერლობის მდილებო
„ემმაკის მათრახის“ კულით
ათასჯერ დადალილებო,
სირაჯხანაში ტიკებთან
მჯდომნო, გულ გაღვილებო
ლანძღვა-გინების საუნჯეც
და ქვეყნის ურგო შეილებო!
მითხარით, სიდან იძახით
არაყით ვალეშილებო?
თბილი ადგილის ძებნაში
მოქანცულ, გადაღლილებო.
ტყვილა ყოფილა ნათქვამი
ეს,—აბრუ გატეხილებო,
რომ „ყბედსო მუწვი დღაავსო“,
თქვე: ენა დაგრეხილებო.
მომართეთ მყრალი ორგანო,
ვაჰკარით ქამანდურია
მოხადეთ ნეხვის ქურჭელი,
თქვენ,—გული უწმინდურია.
ამოსცხეთ როგორც იცოდეთ
ერთმანეთს ნიშადურია,
შემდეგ მოდექით, იხტუნეთ
იძახეთ აკმაკურია,—
„აპრუწუწუნის წამალი
პრასა და ნიახურია“.
მოძებნეთ ღვინის მარანი,
შემწვარი ინდაურიც,

ზედ მწვადი, ბეჭი, მწვანილი,
ყანწები იქაურია,
დასძახეთ ძველი შექისტა,
დაბუქნეთ კინტოურია.
მაშინ აგეძერის სურვილი,
—სამშობლოს სამსახურია
სიტყვით შეაქებ, სანამდის
ღვინით გიბუჟის ყურია
და .საქმით ასჯერ გაყიდი
თუ არ გაქვს ლუკმა პურია.
მაშალმა მეგლმა წამართვა
თქვენებერ უწველი ფურია.

ბლიკვაძე.



„საქრამაქულინის“ „ზაკაშები“.

ბათუში. გთხოვთ დაუკონებლივ გამოგვიგზავნეთ თქვენი „კულინი“ ორი ჩარეკი. საქირთა ბათუმის ნოქართა დელეგატების მიერ არჩეულ კომისიისათვის, რომელმაც ნერვების სისუსტისა გამო აგერ მესამე თვე გადის ვერ გამოიკვლიეს ბროშიურების ანგარიში. თუ თქვენმა წამალმა გასქრა მყისვე გაჯანებთ.

შშირილა. გვიწველეთ; ტელეგრაფით გამოგვიგზავნეთ სამი ყანწი „კულინი“. გვეჭრებუა ადგილობრივი სამკურვალის ხაზინებისათვის. დიავნოზი ზრდილობაზე გადაბიჯება, სამუშაო დღის განდიდება ვიდრე 15—16 საათამდე და სხვა მრავალი მზგავსი ამისი.

ადრესი: ყვირილა, ბ. მ. ლ—ძისა და ბ. ს. ლ—ძისათვის. (საკუთარ ზელში).
სკურე-პირელი.

ჩოხატაური. „გამოსარჩენის“ პრაქტიკა ძლიერ განვითარდა ამ ბოლო ხანებში. საქირთა შესაფერი პორცია „კულინისა“. ვინძლო არ დ გვიგვიანოთ. ადრესი: ჩოხატაური, ბოქაულ მაისურაძეს. შემოუთოვალეთ რაც მას მოჩრება, სხვებს გადასცეს.

სუსხა. აუცილებელია „კულინის“ წვეთები სადგურის უფროსისათვის, რომ ვარი თქვას „გამოსარჩენის“ პრაქტიკაზე, ძლიერ მაღლობელი იქნებიან აგრეთვე ლაზარე და მისი ძმა ჯიჯიეშვილები, ეომილე და კოწინა ტიკარაძენი თუ უსასყიდლოთ გამოუგზავნით ვინაიდან სიღარიბისა გამო ფულს ვერ გადაიხდიან. ახლა ჩაეწერენ ტელემაკის რაზმში.
კასია.

საჯანახო. ბ-ნო ეშმაკო! თქვენ ალბათ შეეჩვიეთ ადამიანის ტანჯვას, მაგრამ თუ ხათრი გაქვს ნუ დაგვიგვიანებ „საქრამაქულინის“ ჩვენი დაბის მოვაჭრე ონიფანტე ზაქარაძისათვის. მისი ავთომყოფობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ კერძო მეზობლურ ანგაჩებებში პოლიტიკურს ურევს ხოლმე და ასე აპირობს პოლიციის დახმარებით ლელოს გატანს.

ს ი მ ლ რ ა .

ჩემო ძმაო მანასე, ხან ისე და ხან ასე:
 ვინც დაგვიკრას „ბუწყანტი“ შენ მუდამ ითამაშე.
 სითაც ქარმა მოჰბეროს, შენ იქითკენ წადიო,
 ნუ გეჩენება ნურას დროს გულში ფიჭვი, დარდიო.
 სადაც სჯობდეს ტკბილი სთქვი, სადაც არა მწარეო
 ზოგჯერ ღრმა სთქვი „აზრები“, ზოგჯერ უფრო
 მღარეო.
 შემთხვევისთვის მზათ გქონდეს ოხვრა და ტირილიო.
 ბუქნა, ხოხვა, სიღინჯე, მოწყენა, ღიმილიო.
 „ერთობის“ ხმა მოგესმას, შენც „ერთობა“ იძახე
 მთავრობის სიყვარული გულში შემოინახე
 დრო მოუვა იმასაც, დაგიბრუნდება ძველი
 ასე ცვალებადია, ძმაო, წუთი-სოფელიო.
 მაშ ხან ასე, ხან ისე ჩემო ძმაო მანასე
 არავის აწყენინო, ყველასთვის ითამაშე

ვ. მალაქიაშვილი.



რაფაე მამიჯანაძე!

(ნამღ. ამბავი გურიის ცხოვრებიდან).

ზევარიკაის გასათხოვარ ქალიშვილ ლამაზ მაკ-
 რინეს მადლი თავისი არსებით უყვარდა მეორე სო-
 ფლის მცხოვრები ზალიკაის ბიჭიკო. ან კარგოვარ
 არ შეუყვარდებოდა მოხდენილი, ტურფა უწვერ-
 ულვაშო ქაბუკი ბიჭიკო. სიტყვა-პასუხში მოსწრე-
 ბული, სწავლის მიმდევარი, მოთამაშე, მოცეკვარი,
 ერთი სიტყვით სახელათ რომ ბიჭიკო არ რქმევოდა
 და დარაის ბლოუზა არ სცმოდა, ვაჟიოა მისთვის
 ვერაფერ იტყოდა, კალმით ნახატი იყო. გაიცინეს
 ერთმანეთი „ჩაუგებელ მიმინოეს“ ერთმანეთს თვა-
 ლები და ერთი-მეორე შეიყვარეს.

უმანკო მოსიყვარულების შემდეგ გადაწყვი-
 ტეს, რომ ცოტას დაიციდნენ, ბიჭიკო ბათუმ-
 ში წავა, ზავოდში ადგილს იშოვნის, საქარ-
 წილა „ფარას“ თავს მოუყრის და კანონიერათ
 შეუღლდებიან. თქმა და ქნა ერთი იყო. ბიჭიკო
 წავიდა ბათუმში და ადგილში ჩადგა, მაკრინე კი
 ყაპობისთვის მოემზადა, ერთი „კარობკა“ კეკალი
 საკუთრად „დაიფინა“ და ხარჯს გარეთ კაი 60 მა-
 ნეთი დედას მიიბარა. ბიჭიკოდგანაც მოსდიოდა
 უსტარი, იწერებოდა რომ მას თვეში 30 მანეთი
 აქვს, აქედან 22 მანეთს ვინახაო. ენკენისთვე
 გათავდა, მაკრინეს მამა ზევარიკამ მშვენიერი მა-
 ქარი დააყენა, ზევარიკას მეუღლეს გულიჯან-
 საც ჩასუქებული ინდოურები და დედლები ყავ-
 მა, შვამავალიც ხელთ გაჩნდა და რადგან ხე-

ლი არაფერზე შეეშლებოდათ და სასიძოც არ იყო
 ხელიდგან გასაშობი მაკრინეს არც კი კითხეს ისე
 ხელად გადასწერეს ჯვარი. ბევრი იტირა ტურფა
 მაკრინემ, ბევრი წყევლა-კრულვა უთვალა, მის
 ქმარსაც და თავის მშობლებსაც მაგრამ მაყრებმა
 მაყრული შემოსახეს და მაკრინე მისი ქმრის ოჯახ-
 ში წაიყვანეს. ცხენზე შეჯდომის წინ მშობლებს
 ჩვეულებისამებრ არ დამშვიდობებია ქმარის გასაგო-
 ნათ „დაიქანდა“. — „გამიტყებთ პირი მირა გიზამთ
 მაგიერსო“.

II.

მაკრინეს ქმარი სამსონ პროცენტაძე იყო ერ-
 თი შეძლებული გლეხის შვილი, მამა მისი პეტრე
 იყო ერთი თავადის ნაფარევევი, მერმედ მოურავად
 ნამყოფი, ბოლოს მამასახლისისათაც კი აირჩიეს. მოკ-
 ლეთ ვთქვათ პეტრე იყო სოფლის პირობაზე კაი
 „გამოსულქისინებული“ კაცი. პირველად მან შე-
 მოიღო სოფელში ნამთავნის მაგიერ პროცენტის
 ხმარა, მე ფულს ნამთავნიზა კი არ ვასესხებ, გაჭივ-
 რებულს ტყავს კი არ ვაძრობ, მე მხოლოდ პრო-
 ცენტს ვიღებო იტყოდა ხოლმე ამაყათ პეტრე; და
 ასეთი „შელავთიანი“ პირობები რაკი იყო, მუშტა-
 რიც ბევრი ეხვევოდა მაგრამ როცა გაიგეს პრო-
 ცენტი ნამთავნეზე კარგი არ არის, მეტი რალა ექ-
 ნათ და მეტ გვართ პროცენტაძე დაარქვეს. მდი-
 დარი იყო ჩვენი პეტრე მაგრამ ბედნიერი მაინც არ
 იყო, ერთადერთი ვაჟი ყავდა და ისიც „ჩო-
 ფანო“. მართალია სამსონი სახით არ იყო და-
 საწუნი ბიჭი, მაგრამ არავითარი საქმის უნარი არ
 ჰქონდა, მისი სიძაბუნე ყველამ იცოდა მაგრამ რა
 ღდა მდიდარი „დაზენგილებული“ ოჯახის პატ-
 რონი იყო ქალს ვინ დაუკავებდა. თვითონ სამსონს
 არც კი უნდოდა ცოლი შეერთო მაგრამ მამას უა-
 რი ვერ გაუბედა. . აი ასეთ ოჯახში ხვდა მაკრი-
 ნეს ცხოვრება, ის ქორწილის მეორე დამესვე დარ-
 წმუნდა, ბიჭიკოს ნაცვლად რა ბიჭი შეახვედრა ბე-
 დმა („ფლავი ვის უდგას და იშტა ვის აქვსო“ ქვი-
 თინით წარმოთქვა, სამსონს კლავი გამოაცალა და
 მეორე გვერდზე გადაბრუნდა... ასეთი უნაყოფო
 დამეგები საწყალმა მაკრინემ ბევრი გამოსცადა და
 ბევრჯერ მოაქცია ბალიში „გასაწურავათ“ საკუ-
 თარი ცრემლით).

III.

მაკრინე და ბიჭიკო ერთმანეთს წერილებს სწე-
 რენ...

IV.

შობა წინაღლეა ყველა ოჯახი ფუსფუსებს,
 ყველა მოძრობს, ბავშვები ხტუნაობენ, ყველაფერ
 დავალებას სიამოვნებით ასრულებენ, მღერაინ
 „ხვალ შობა, ხვალ შობა,
 ჩვენი ხუტის დარჩობა“.

ყველა ოჯახი სახვადიო სამზადისშია. პეტრე პროცენტადის ოჯახობაც ემზადება რასაკვირელია. ას ოცი კეკალი კვებრები ,,ღვეძლისთვის“ ორი დღის წინ მოხარშეს, გაფეკქენეს, შემოაწყვეს ,,ჩეჩოზე“ და ,,ოჯინჯღღზე“ ხმება, მაკრინეს დედათილი ზეხა საღვეზღე ცომს ზელს... საღამოა... ვილაცას ქისკართან ძაღლებმა შეუყვება .. ძაღლის ყეფაზე მაკრინეს სახე აენთო, გულმა ძაგა-ძუგი დაუწყო.— ,,ვაი სულა, ვაი გულა, თუ დასტურ მვეიდა“. ჩაილაპარაკა ჩუმით და ქისკრისკენ თვალები გააყოლა ქის კარი პეტრემ გააღო და სტუმარს შემოუძღვა. ეს იყო გასათხოვარი ქალიშვილი შლიაპით მოართული, ხელში ქოლგით, მას თან ახლდა ერთი პატარა ბიჭი ხელში პატარა ხელის ჩამადნით. მაკრინე გაექანა სტუმრისკენ.— დედა შენი ქირიმე, რომელი ქარი იყო შენ გენაცვალე ჩემო მამო, რა ბედნიერი დღეი გამითენე— ამას თუ მივესწრებოდი აგი არ მგონებია.

— შე ქალო, ჩვენც გავგაცანი აგი პატიოსანი, უთხრა ზეხამ.

— უკაცრავათ ბატონო, აგი ჩემი კვიდრი დეიდაისშვილი მამოა.

— აბა მეც ვაკოცებ ჩვენთან ყოფილა, ქე რომ მიჩვიდი ველიო, აგია შე ქალო.

— დიხ ბატონო, თავად აგია, ქალაქში დგანა დიდ კაცთან.

ამ ბასით ახალ მოსულს შეუძღვენ ოღამი, დაანთეს ბუხარში ცეცხლი და სტუმრის შექცევა მიანდგეს მაკრინეს...

V.

ტკბილათ გაითენა პეტრეს ოჯახმა შობა, მაკრინე და სტუმარი მამო ერთ ოთახში დაწვენენ, თუმცა მთელი ოჯახობა საზოგადოთ გვიან დაწვა, მაგრამ მაკრინეს და მამოს ქუქკუკიკიდევ დიდხანს გაგრძელდა.

— რა კარგია შენიანის, შენი სისხლ-ხორცის ნახვა, ჩემი ახალმოყვანილობა გამახსენდაო, უთხრა ზეხამ პეტრეს. ,,მეალილუეს“ მოსვლა პირველად მაკრინემ და სტუმარმა გაიგო, გამოცქრილდა მაკრინე და რაც პეტრეს ოჯახს მის დღეში არ უქნია აღილოოს მომღერლებს კაი ათი შაური თავის ხელით მისცა, ზეხამაც მათთვის საგანგებოთ დამზადებული ღვეძელი მისცა ხელში მებარგეს. გაკვირებულმა და აღტაცებულმა ქრისტეს შობის მომლოცვეებმა მადლობის ნიშნად ,,მასინძელსა მხიარულსაც“ კი შემოსახეს. მეორე დღეს მაკრინეს და მამოს გაღვიძება დასკირდათ, ზეხამ უკვე ცის იალონზე მოამზადა ,,გასახსნილებლი“ საუზმე, მორიდებით გაღვიძა რძალი, რომელიც ზანტად დათენთილი ადგა, სტუმარს პირი დააბანია, ორივე

მოირთვენ მოიკაზმენ და შეუდგენ ,,გახსნილებას“. მაკრინესაც და მამოსაც ორივეს დაწყენილობა-დაღლილობა ემჩნეოდა, საქმელსაც უმადოთ სკამდნენ.

— ასე იცის ბატონ ქალებო ძილის ტეხამ, შენიშნა ზეხამ.

— ბატონო, მამო დაღლილია, სტანციაზე ტენი ვერ ეშონა და აქამომდე ამ ტალახში ფეხით მვეიდა, მერე მაგი იმფერ ოჯახში კი არაა გაზღილი, დიდი კაცისას გამოზდილია, იქინეი თურმე ჩვენ რომ ვდგებით მამინ წობიან... სოქვამ მაკრინემ.

ასე ამ რიგად გაატარეს შობის დღეები, სამიოთხი დღის შემდეგ სტუმარმა მამომ წასვლა მოინდომა მაგრამ მაკრინემაც და ყველამ დაუწყეს პატივი დარჩიო, ბარემამი შობა რადგან ასე კარგად სიტკბოთი გავითენე კალანდასაც ნუგავაწილებ, დაგვიბედნიერე შენი ფეხო.

— მართალია შეილო დედა შენი კი ამოგვადებს წყევლით შვილი წამართვეს უწინ კალანდას გარდამ მოცდასაც კი ,,იბძინდენ“ მარა ახლა ადამ ყრუობის დროი ხომ აღარაა, მოყვრის წყევლა მოყვარეს არ მოუა, უფრო კიდევ იმიზა გეხვეწები მოცდას ჩემო ლამაზო მამო რომ საწყალ მაკრინეს მას მერე, რაც მვეიყვანე შენ მოსვლამდი არ გაუტინია ისე იყო სულ წვიმას აპირებდა...

— თუ ხათრი გაქ ნუ გავაწიბილებ მეცადლო.

— მამომაც ხათრი ვეღარ დაუქცია და საკალანდოთაც პეტრესას დარჩა.

VI.

ახალი წელიწადია. პეტრეს სტოლი ,,დაქვირთულია“, მართალია ძველებურათ არ გაულოცავთ მაკრამ ,,ვიზიტზე“ რაკი მომლოცავთ ბევრ სტუმრებს მოელოდნენ სტოლიც დიდებულათ გააწყვეს ახალ მოდაზე. ჩიჩილაკის მაგიერ სტოლზე იდგანა ძვის შტო, ვაწყობილი სხვა და სხვა კამფეტებით და ხილვეულობით. იქვე იდგა შემწვარი გოჭი, ტახი ღორის თავი, შემწვარი ინდოური, კურტუმო ჩაყვითლებული შემწვარი დედალი, სხვადასხვა ნაირი სასმელები მოპეტეხებულნი ადესის ღვინო, ფორთოხალი, მსხალი, ვაშლი და სხვები, ეკლესიაში წასვლამდე მომლოცვეებმაც იწყეს რიგრიგად მოსვლა. დღეს დადიოდნენ მარტო კაცები (ასეა მოდათო), მაკრინეც ყველას აცნობდა თავის დედაშვილ მამოს, რომლის შეხედვაზე ბევრმა ამოიხზრა, ის სტუმრებს კეკლუცად ექცეოდა და მამოს ,,ხახეიკობაში“ ხერხიანად ეხმარებოდა. წირვაზედაც წავიდნენ, როგორც ქალების ჩვეულებაა მამომ ყველა ქალები გადაკონა, ერთ-ორსამ ახალგაზრდასაც ნება მისცა კაცის, რადგან მაკრინემ ისინი თავის ოჯახის ახლო-

ბელ მოყვრად გააცნო. საღამო ხანს პეტრესას კვლავ მოიყარეს სტუმრებმა თავი, მაკრინემ გიტარა დაუკრა, ზეხამაც თავისი ჩონგური ჩააწკრილა, შეიქნა ლილინი, ცეკვა-თამაში, ოხუნჯობა. მაშო ბევრმა ყმაწვილმა გამოითხოვა საცეკვრად, ერთს-ორს ხათრი არ დაუტყრა, გაყვა და მოხდენილად ჩამოუარა. ბოლოს აცეკვეს მაკრინეც, მაკრინემ დაუტყრა თავი მაშოს, მაშოც გაყვა მაგრამ ყმაწვილებმა უკმაყოფილება განაცხადეს, ორი ქალი ერთად არ შეიძლება დამა კავალერის ცეკვა იყოსო—მაკრინემ ცეკვის დროს ხელად გადააძრო თავის ქმარს ქული და დახურა მაშოს და დაუძახა—თუ დობა გვამს ნუ გამაწვილებ, კალანდაა, გეიხსენე ბაღნობა და ვაჟურად იცეკვეო. მაშომაც შესცვალა ქალური ცეკვა ვაჟურზე და ისე მშვენივრად იცეკვეს ორთავემ რომ როცა გაათავეს, „პრაეა-პრაეას“ ძახილით იქაურობა გადააყურეს—საღამო ხანს იმავე სტუმრების თანადასწრებით „ავუნა ვადიხახე“ ცრტა კიდევაც წაივანშეს, ვახშმის დროს ტოლუბაშმა იმდენი იხრია რომ მაშოსაც და მაკრინესაც სამი ჩაის ჭიკა სხვადასხვა საპატიო სადღეგრძელო სასვე დააღვივნეს—ასე რომ საერთო მხიარულობა ყველას ეტყობოდა—საწყალი სამსონი იყო ჩვეულებრივსამერ დაღონებული. ძილის დრომაც მოაწია. პეტრე და ზეხა ჩვეულებრივსამერ ადრე დაწვა. დაწოლის წინ ზეხამ განაცხადა:—მე თქვენ ყორიფელს ვერ დაგიჯერებთ, მე პაწი კიდევ მწამს ძველი დროი, ხვალე ქათმიფერხვა და დილას ქათმები ადრე უნდა დავაპურო, მე და ჩემი ბერიკაცი ქე დავწობით და თქვენ თუ გინდებიან ჯერ კიდევ გინდა ბანქოით შეიქციეთ თავი, გინდა ნარდით, სამსონი კია მოწყენილი მარა ღმერთი რომ იმის კას ბიქს მომასწრებს მის ნათვლაზე შეიღებნოსო.

— კი ბატონო, კი, თქვენ ნუ შეწუხდებით, რავაც გენებება ისე მისივანე. მოახსენა მაშომ და მაკრინემ. ამის შემდეგ ბევრი არც იმათ დაუყოვნია, ერთი ხელი „კვიცის ფახი“ ითამაშეს, მაკრინე „ვაფორდა“ და ისინიც დაწვენენ.

იალონი ჯერ კიდევ არ იყო რომ პეტრე ადგა, წაიღო სამხად სახლში, საქონელს ბაგაში ჩაილა დაუყარა, ცეცხლი დაანთო, ჩიბუხი გააკეთა და ცეცხლს „მიეფიცა“. ზეხაც შემოვიდა, სახავო კალათით ტარო სიმინდი მოიტანა და ცეცხლის პირში დამჯდარმა ფშნა დაიწყო.

— რა იყო ბოშო რამ წამოგახატუნა ასე ადრე, ეკალზე ხომ არ იწევი, ჯერ მგონია ერთი მიძინილიც არაა, მეც ძილი ვამიტყებ შენ რომ ადექი მე ვიფიქრე დამათენდა თავზე მეთქი.

— არც ისე ადრეა ოჯო შენ რომ ფიქრობ, მარა რაცხა არ დამეძინა, რაცხა გული სხვაფერ

მთქვამს და არ ვიცი რა იქნება, სიზმარიც რაცხა ისეთი ოცობოლური ვნახე რომ ვეფერივერ გამევიტანე.

— კი და კეთილი იცის! შენი შეიღობა იცის ღმერთი კეთილად აგისდენს. შენ იცი მაინც ნამეტარი ფიქრი... ღვთით რა გვაქ საფიქრალი, ღმერთმა თუ არ მოგვშალა ყორიფელი ბევრი გვაქს დიდება მის სახელს, ერთი რამე გვაკლია და ღვთისმშობელი დედა იმასაც გვაღირსებს, ღმერთი რავე მოგვიძულებს ისე რომ სამსონის რაცხა არ გვაღირსოს ნათლისცემელი ძრიელი არ გადაგვიყვანს უძიროთ და უფესვოთ.

— მეც მაგის მჯავრი მკლავს ბოშო, შენდა არ მითქვამს შემეცოდე თვარა მჭერს რომ უნდა ისეა ჩვენი საქმე—ბევრი მეხვეწა საწყალი სამსონი ცოლს ნუ შემერთავ, არ ვარ საცოლოო მარა არ დაუჯერე, მორცხვობს მეთქი. ახლა კი ვნანობ რეიზა ჩავდექი სხვის ცოდვაში მეთქი მარა რა დროისაა.

— რას ყურობს ამას ჩემი დასაფესებელი ყურები, რავე ჩემი სამსონი არ იყო საცოლო, საცოლო კი არა უკეთესი ეკადრება მისი ქირიმეს, რა აქ წავხდი დასაწუნი.

— რა და ჩოფანო რომაა... შენ რა იცი, შეიღებში ღვთი იყავ, შენ რომ არ ვარგოდი შენ შეიღოს რა გამეიყვანდა კას.

— სუ ბოშო, კვიპატი დღეია დღეს რომ ევიშალოთ მთელ წელიწადს ქათმები იჩხუბებენ, თვარა კი ვიცი ვინცხაის ბრალია, თვარ ვარგა, შენ შენ სიკოცხლეში სასახლის აშარ გოგუებთან ევლე მარა მაგის დროი არაა ახლა და არც წამოგახებ.

— შენ შენდა ევდე, ან კი რას გიჩივოდი, მე თუ ქვეა მქონია გვარი გივარგა თუ გუჯაბი მე მაშინ ვიყავი დასაბამი, შენ რომ შეგირთე.

— არა, მაუქამე მოგცემდა ქალს შენმა თავის ტულეცამ, ნეტაი მაკოდინა რა წავიხთინე, შენგან მუუვიდა ბაბას მოციქული თვარა მას არ დუღულეტია შენდა ჩოხის კალათი; არც კი ვიყავი გასათხოვარი შენ რომ არ მომიეცა საშველი თვარა, რა მანქარებდა.

— კი ოჯო, ნუ წააგმეღე ენა თვარა ხომ იცი ჩემი ამბავი...

პეტრე ადგა და გარეთ გამოვიდა - ზეხამაც თავისთვის რალაც უკმაყოფილო ბუტბუტი მორათო

პეტრე გარეთ გამოვიდა, გეიხედ-გამოიხედა უკვე დღის სინათლე იწყებოდა, ის წავიდა ოღისაკენ, „პალატში“ შეშა ეწყო და ის უნდოდა გამოეტანა. ამას რას ხედავს პეტრე: კიბის ბოლო საფეხურზე ვილაც გრძელ პერანგინი სდგას და ბუნებრივ მოთხოვნისგან იკმაყოფილებს... ერთ ხანს სამსონი ეგონა მაგრამ „ლოჯიდგან“ როცა კარ-

გად დაუვირდა, იცნო ვინც იყო მაგრამ ვაი ამ ცნობას, ეს იყო მაკრინეს დეიდაშვილი მაშო, ,,ვაი რაფერ მევიჯაყე“-ს ერთი კი დაიყვინრა და გაეშურა, უნდოდა ხორცად შეეჭამა მისი მომჯავყელი, მაგრამ ის ხელად შევარდა ოთახში, წამოავლო ხელი მის კაბას, მშვიდობით მაკრინეო და გადახტა ფანჯრიდან. ამ დროს პეტრეც შევარდა ოთახში. მაკრინე მაშინვე მიხვდა საქმე რაში იყო. პეტრეს მოასწრო და თამამად დაუყვირა.

— აბა რა გეგონა ძალითაი რომ წამომიყვანე და იმფერ კაცზე დამწერე ჯვარი... რავა შენ თუ ერთი ქალი კი გეკადრებოდა მე ერთი კაცი არ მინდოდა. გაჩერდი, სული არ დაბერო თვარა ჩემი უბედურობის ამბავს კრებაზე გვეიტან, არ მეყო მე სამი თვის წვალემა, კი გეგონონ ძველ კაცებს ქალიხა ბზეი არ ამუაო მარა ჩი ჩი—ახლა ჩვენც გეყავს ჭირისუფალი შენც სუ და მეც სუ თვარა თუ გამოგონია ერთი ღრინი პირდაპირ საზოგადო კრებაზე გავამცხადებ რაც მჭირს ერთის მეტი ხომ არ მყავს და მყავს იმფერი, რომელიც უწინ მიყვარდა. მე ბოზი არ გეგონო, მეც აღამიანი ვარ!

— წყეულიც იყოს შენი აღამიანობა, შე გველის წიწილო, იგი დღეი რეიზა არ დეიქვა ახალთაობა და კრება რომ შემოვიდა, თვარა მე შენ გიჩვენებდი რაფერ უნდა სიმაურის შემოკლაპუნება, ახლა კი აბა რავექნა, შენ ბატონი ხარ და მე ყბაი, ჩემისთანა მოხუცებულეების აფერი ეკითხება და ყაზილარები შენსავით ახუნტრუტებულია და შენისთანა ლამაზს ვინ შეიმღურებს.

— უჟაკრავად, უჟაკრავად იგი დღეი დეილოცა სიმართლე რომ შემევიდა, სილამაზეს კი არა სიმართლეს იცავენ, სიმართლეს და შევაზე რომ ვასკტო ძველს დროს ველარ დაბარუნებთ ბერიკაცები—ახლა შეგიძლია მიბრძანდე, ჩვენ კიდევ მევილაპარაკებთ ამაზე თუ გნებავთ შინაურულად და თუ მაინდამაინც შენი გვანის ვარეთ გატანა ვინდა მე უფრო მიამება იცოდე, მარა შენ არ გეწყინოს...

— ვაი რაფერი კალანდა გამითენდა, ვაი რაფერ მევიჯაყე.

ავ-ყია.



გამოცანა.

დღეი ეტლში, ღამე კლუბში,
ბაქარა და მისთან ლოტო,
ყოველისმხრით ბანკი ქუცმან
უჟინაეტ საშა პლოტნო.

იქ, ხომ იცით, მისს მეგობარს
გააკრავენ ათას თუმანს,
ზომიი ჟიტ ტიფლის ლუჩმე
ლეტომ წავა აბასთუმანს.

თქვენი არის ეს ქვეყანა,
იქეიფე ჩემო საშა,
ბანკის სახლში ფულს ვინ მოგთხოვს,
გაიქივე როგორც ფაშა.

მოლა.

ზ ა მ თ ა რ ი.

სდგას სამთარი.
ცივი ქარი
მთა და ბარს დადმეის,
ტექე უღრანი,
სედეფანი,
მოსთქვამს: ,,ვაი-უვის“
არე მარეს,
გულ მწუხარეს,
სქელ საბანქვემ სძინავს
და მდინარე,
მგლოვიარე
კაცივით სწუხს, გმინავს
ნის ფრინველი,
უზრუნველი,
ბუქქ-ბუღუღში ჯადობა,
და ტეის მსუცი,
როგორც ბუცი,
უგზათ ესტეკა.
კუჭ-უმადურს,
იმ უბედურს
სტანჯავს რევა აზრის,
და უჭმელი
მტანბელი
ტექე-ქალაკით დაძწვის.
ძრწის და რაკავს;
არას სოჯავს,
საზარდათ შირს აფჩენს,
რასაც ნასავს,
შუასვე სასნდავს,
ძვალს და რბილს არ არჩევს...
სდგას სამთარი.
ცივი ქარი
მთას და ბარს დადმეის,
ტექე უღრანი,
სდედეფანი
მოსთქვამს ,,ვაი-უვის“...

ნ. ზომლეთელი.

(ავტორის თხოვნით ეს ლექსი შეუსწორებლათ იბეჭდებ

რაც რომ გვეძინა არ კმარა
კიდევ დაეხუტათ თვალები?
მტარეალებს მდიდრებს ის გინდათ
რომ აგვიხვიოთ თვალები
ჩვენზე ილხინოთ მუღმითა
არ მოგვცეთ გზა და კვალია
თავებზედ ღუხებსა გვისვამთ
და გვაჩუმებთ ჩვენ იმითა
მაგრამ ტყუილათ ცვიერობთ
გვეყო ამთენი ტანჯვათ
კარგათ იცოდეთ ოდესმე
დაბერამს ზენა ქარია
მზეს დაბნელებს ღრუბლებსა
ატყდება ქექა ქუხილი
შიგ გაეხვევით ცვიერნო
მაგ თქვენი დიდი ცოდებით

იოსებ ფანიაშვილი



დექემები.

ჰინათურა. გრ. შ-სა და მ. წ-ძის* მედიატორებს
ენა დასწვიათ ცხელი მწვადისა და ცივი ღვინისაგან,
რის მეოხებით განაჩენს ველარ აცხადებენ.

ჭიათურის სადგურზე მხოლოდ აზნაურს შეუძ-
ლია თავისუფლათ ვავლა, დანარჩენებს პრიკლადი.

ფორუდის მუშების სადგომის ამშენებელ მოი-
ჯარადრეებს მოუგონიათ ახალი გვემის სახლი, რო-
მელიც საჭირო დროს მოულოდნელათ ინგრევა და
მდგმურებს ქექყავს.*) ბალაუსელი პაატა.

ჰშირილი. „მალარიჩის კამპანია“ იმიტომ ეწო-
და გიორგი ჩანტლაძისა, ისიღორე მოსიძისა და ნე
სტორ გიორგობიანის ამხანაგობას, რომ ჩვეულებათ

აქეთ დეპოში მომუშავეს 10-15 მანეთის მალარიჩი
გადაახდევინონ, რასაკვირველია აღმატებისათვის.

ალქაჯი.

შორაპანი. ხალხში ხმა დადის მიხა მაჭავარი-
ანს ძლიერ მოუხდებდა ერთი ბოთლი „სპერმაკუდი-
ნო.“ საქმე იმაშია რომ ძლიერ დასჩემდა:

უფროსების ფეხ-ქვეშ გება
უმცროსების დაჯაბნება.

„მონტიორათ“ გახდომა უნდა და უყმო ბატო-
ნსავით ახლავ დაიწყო ყვირილი „დაბალ“ მუშებს-
ადრესი „სპერმაკუდინისათვის: შორაპანი. დეპო.
სლეხარ მიხა მაჭავარიანს.

ალქაჯი.

სოფ. აბაშა სარწმუნო წყაროებიდან გავი-
გეთ, რომ „საყვარელი“ მოძღვარი თოფურიძე უკვე
მორიგებია მრველს ღრამისა და სხვათა გადასახადთა
შესახებ სახელდობრ მრველი იხდის ორ-ორ მანეთს
იმ პირობით რომ ეკლესიაში დაიშარხოს.

ტუზი.

„ეშმაკის მათრახის“ ფოსტა.


ივ. დვალს. საკვირველია თქვენი ამბავი! ამ წინაზე
„ეშმაკის მათრახის“ რედაქციას თქვენ: „პატივცემულ“
„წმინდა გიორგიში“ გინ იცის რას არ ეძახოდით. ახლა კი
პატივცემულათ იხენიებთ და „ნიშადური“ საპასუხოთ ლექს-
საც გვიგზავნით. ჩვენ ამაზე აი რას მოგახსენებთ: დიდს გან-
სხვავებას თქვენსა და ვალერიან ბუნიას შორის ვერ ვხედავთ.
როგორც იმ ჭორის გულისა, ისევე თქვენი ლანძღვა ქებათ
მიგვაჩნია და ჩვენს გაზეთში არა გვაქვს სურვილი იქითი
უმსგავსება შევაქოთ, როგორც „ნიშადური“ და მისი მონი-
შადურე ვალიკო ბრძანდება. ქებას თუ დასწერთ გუნისა შე-
სახებ დიდის სიამოვნებით დაგიბეჭდეთ, ვინაიდან ჩვენა მკო-
თხვევებმა იციან ვგი და კარგი აზრია საყურადღებო.
ნურას უკაცრავათ.

საჩინო. ძველ საჩინოელ ნაცნობს. თქვენი წერილი არ
დაიბეჭდა, ვინაიდან ალბათ არც თქვენ იცით რასა სწერთ.
„ეშმაკის მათრახში“ მოთავსებული წერილის ავტორი „საჩი-
ხოელი“ რედაქციას კარგათ აცნობა თქვენ მიერ მასზე მიწე-
რილი ბრალდება საესებით შეგიძლიათ უკან დაიბრუნოთ.
ვერც ის გაგიგიათ აქებს თუ აძაგებს მამასახლისს ჩვენი კო-
რესპონდენტი და ტყვილთ გამაწყრალობათ. რაიცა შეეხება
თქვენი ფსევდონიმის მითითებას, ეს სხვა საქმეა, მაგრამ
„საჩინოელი“ ყველა საჩინოელს შეუძლია მოაწეროს. ესეც
არ იყოს ამ ბოლო რანგში ისე აირია ფსევდონიმების საქმე,
რომ ძალი პატრონს ვეღარ სცნობს, ყოველ ვე შემოაღნიშ-
ნულის ბარზე თქვენ აღარც კი მოგიწერიათ ნამდვილი სა-
ხელ-გვარი.

არღინაული. ბასის თავენი წეოლი ცრუთეით არ
არის ბასრი, პირიქით ის სიძველეს გან დაჟანგულია. ჩვენ
კი მართლა ბასრსა და მხველ რასმე მოველოდ თ, თუმცა
იმედი ჯერაც არ დაგვკარგვია.



*) ცხადია ეს ახალ-მოგონება ქურდების დასაკრებათ არის
დანიშნული, მაგრამ ჭიათურელი მუშის სახლიდან ქურდმა რა
უნდა მოიპაროს? ახირებულაია!!!



„დედღეუნით“ მოგზაურობა პროკინციაში.

კოველ-კვირული, იუმორისტული ჟურნალი.

„ეშმაკის მათრახი“

გამოცემის კვირაში ერთხელ.

ჟურნალი ღირს ერთი წლით—ნ მანეთი ნახევარი წლით—3 მ. ერთი თვით—50 კ.

წინა 1908 წლისათვის გამოიწერეს ჟურნალს და მთელი წლის ფასს გამოუგზავნის რედაქციას, გასული წლის „ეშმაკის მათრახის“ ყველა ნომერი უფასოდ გაგზავნება.

ხელის მომწერლებს ფული შეეძლია გამოგზავნოს პირდაპირ რედაქციაში: Тифლისъ въ редакцію журнала „Ешмакись Матрахи“, Т. Болквадзе.

რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.